

ბუშბა ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

შინაარსი:

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	5
---------------------------------------	---

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება	6
სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	7
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება	8
ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება	9

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	10
2. მომზადების საფუძვლები	10
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	11
4. წინა წლის შეცდომები და რეკლასიფიკაციები.....	12
5. ძირითადი საშუალებები	13
6. მარაგები	14
7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	14
8. შეზღუდული ფულადი სახსრები	14
9. ფული და ფულის ეკვივალენტები.....	14
10. მიღებული სესხები	15
11. სახელმწიფო გრანტი	16
12. საგადასახადო ვალდებულებები	16
13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	17
14. ამონაგები.....	17
15. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	17
16. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	17
17. ფინანსური ხარჯი	17
18. ზარალი საკუთარ სხვაობიდან, წმინდა	18
19. არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი), წმინდა	18
20. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	18
21. პირობითი ვალდებულებები.....	19
22. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	19
23. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.....	20

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს ბუმბა ჯგუფის მფლობელებსა და ხელმძღვანელებს

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს ბუმბას (შემდგომში „კომპანია“) და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში „ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, ასევე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ - ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ ჯგუფის აუდიტორებად არ დაგვნიშნეს 2020 წლის 31 დეკემბრამდე და, შესაბამისად, ვერ დავაკვირდით წლის დასაწყისში და წლის ბოლოს ჩატარებულ მარაგის ინვენტარიზაციას. ჯგუფის მარაგების სპეციფიკიდან გამომდინარე, ჩვენ ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ დავრწმუნდით 2020 წლის 31 დეკემბრისათვის არსებული მარაგის რაოდენობის სისწორეში, რაც ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში ასახული იყო 2,573,796 ლარის ღირებულებით. შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ, აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა აღრიცხულ ან აღურიცხავ მარაგებთან დაკავშირებით, აგრეთვე სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგების ელემენტებში.

როგორც ეს აღნიშნულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მე-5 შენიშვნაში, ძირითადი საშუალებების ჯგუფები მიწა და შენობა-ნაგებობები მოიცავს სახელმწიფოსგან უსასყიდლოდ მიღებულ 2,792,474 ლარის საბალანსო ღირებულების აქტივებს. მოცემული აქტივები გადმოცემის მომენტში შეფასდა და აღიარებულია რეალური ღირებულებით. ჩვენ ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და აუცილებელი მტკიცებულება აღნიშნული აქტივების რეალური ღირებულებასთან დაკავშირებით. შედეგად, ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა, საჭირო იყო თუ არა კორექტირებები აღნიშნულ აქტივებთან და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

ჯგუფის მიერ განსაზღვრული ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები არ ითვალისწინებს ჯგუფის აქტივებიდან მოსალოდნელი ეკონომიკური სარგებლის გამოყენების ხასიათს, რაც მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტიდან გადახვევაა. შედეგად, ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა, საჭირო იყო თუ არა კორექტირებები ძირითად საშუალებებთან და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასსების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ ჯგუფისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის შესაბამისად. გარდა ამისა, შევასრულეთ

ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული საადრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული საადრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან

პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.
- მოვიპოვეთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს ჯგუფში შემავალი საწარმოებისა და სხვა ერთეულების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა მოსაზრება გამოვთქვათ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენ ვართ პასუხისმგებლები ჯგუფის აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და აუდიტის ჩატარებაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემულ აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

ივანე ჟუჟუნაშვილი (რეესტრში რეგისტრაციის № SARAS-A-720718)



შპს „ბიდიო აუდიტის“ სახელით
თბილისი, საქართველო
2 ივნისი 2021

ბუმბა ჯგუფი

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

	შენიშვნა	31.12.2020	31.12.2019 გადაანგარიშებული *
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	12,491,048	10,717,588
		12,491,048	10,717,588
მიმდინარე ქტივები			
მარაგები	6	2,573,796	2,404,049
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	5,671,463	5,458,277
შეზღუდული ფულადი სახსრები	8	11,024,520	-
ფული და ფულის ეკვივალენტები	9	485,788	368,696
		19,755,567	8,231,022
აქტივები სულ		32,246,615	18,948,610
საწესდებო კაპიტალი და ვალდებულებები			
საწესდებო კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		606,617	606,617
დაგროვილი ზარალი		(2,364,963)	(351,611)
		(1,758,346)	255,006
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	10	20,060,532	12,554,741
სახელმწიფო გრანტი	11	4,046,632	2,467,110
		24,107,164	15,021,851
მიმდინარე ვალდებულებები			
მიღებული სესხები	10	8,633,097	2,337,376
სახელმწიფო გრანტი	11	48,423	48,423
საგადასახადო ვალდებულებები	12	212,390	79,187
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	1,003,887	1,206,767
		9,897,797	3,671,753
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		32,246,615	18,948,610

* შესადარისი ინფორმაციის ცვლილების ეფექტი ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაზე მოცემულია მე-4 შენიშვნაში.

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2021 წლის 2 ივნისს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი



გ. ჯამრიშვილი

9-24 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ბუღალტრული

სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

	შენიშვნა	2020	2019 გადაანგარიშებული*
ამონაგები	14	13,298,654	12,068,413
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	15	(9,102,629)	(9,490,788)
		4,196,025	2,577,625
მიწოდების ხარჯები		(504,735)	(107,037)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	16	(1,736,800)	(1,357,408)
საოპერაციო მოგება		1,954,490	1,113,180
ფინანსური ხარჯი	17	(1,528,274)	(850,954)
ზარალი საკუროს სხვაობიდან, წმინდა	18	(1,994,082)	(311,093)
არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი), წმინდა	19	282,030	385,636
მოგება დაბეგვრამდე:		(1,285,836)	336,769
მოგების გადასახადის ხარჯი		(19,516)	(25,989)
წლის მთლიანი სრული ზარალი/(შემოსავალი)		(1,305,352)	310,780

* შესადარისი ინფორმაციის ცვლილების ეფექტი ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაზე მოცემულია მე-4 შენიშვნაში.

ბუღალტრული**საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება**

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
2018 წლის 31 დეკემბერი	314,367	340,452	654,819
საწესდებო კაპიტალის ცვლილება	292,250	-	292,250
გაცემული დივიდენდი	-	(1,002,843)	(1,002,843)
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	310,780	310,780
2019 წლის 31 დეკემბერი	606,617	(351,611)	255,006
გაცემული დივიდენდი	-	(708,000)	(708,000)
წლის მთლიანი სრული ზარალი	-	(1,305,352)	(1,305,352)
2020 წლის 31 დეკემბერი	606,617	(2,364,963)	(1,758,346)

9-24 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს ბუმბა ჯგუფი

ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

	2020	2019
მომხმარებლებისგან მიღებული ფული	14,233,637	12,410,275
მომწოდებლებზე გადახდილი ფული	(8,750,700)	(12,023,292)
შეზღუდული ფულადი სახსრები	(10,968,580)	-
დასაქმებულებზე გადახდილი ფული	(1,032,625)	(802,460)
გადახდილი გადასახადები	(1,835,456)	(1,825,056)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	(8,353,724)	(2,240,533)
ძირითადი საშუალებების შეძენა	(2,764,224)	(1,919,423)
ძირითადი საშუალებების გაყიდვა	9,809	24,116
სხვა საწარმოს წილის შეძენა/გაზრდა	(60,000)	(206,800)
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(2,814,415)	(2,102,107)
მიღებული სესხები	13,393,754	6,200,205
სესხების დაფარვა	(719,409)	(690,956)
გადახდილი პროცენტები	(1,280,949)	(827,515)
კაპიტალის ზრდა	-	292,250
სახელმწიფოსგან მიღებული დაფინანსება	569,101	287,428
გადახდილი დივიდენდი	(672,600)	(952,701)
წმინდა ფულიადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	11,289,897	4,308,711
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა/(შემცირება)	121,758	(33,929)
ფულადი სახსრები წლის დასაწყისისთვის	368,696	421,830
უცხოური ვალუტის ცვლილების ეფექტი ფულად სახსრებზე	(4,666)	(19,205)
ფულადი სახსრები წლის ბოლოს	485,788	368,696

9-24 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ბუბა ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარი)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს "ბუბა" (შემდგომში კომპანია) დაფუძნდა 1996 წლის 11 ნოემბერს, საიდენტიფიკაციო კოდი: 208156591, მარეგისტრირებული ორგანო არის სამგორის რაიონის სასამართლო. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, სამგორის რაიონი, ახვლედიანის ქ. ნ. 26. კომპანიის მფლობელები არიან ფ.პ. გიორგი ჯამრიშვილი (პ/ნ: 1009002919) 51% და შპს "გაზელ ფაინენს ჯორჯია" (ს/კ: 404540001) 49%. კომპანიის დირექტორია გიორგი ჯამრიშვილი.

2020 და 2019 წლებში კომპანია ფლობდა შპს ჯეოკეპის 100% წილს. შპს "ჯეოკეპი" არის შპს "ჯამპლასტისა" და შპს "ენგი პლასტის" 100% წილის მფლობელი.

2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია წარმოადგენს ჯგუფის მშობელ კომპანიას და ფინანსურ ანგარიშგებაში იკონსოლიდირებს შემდეგ შვილობილ კომპანიებს: შპს ჯეოკეპი, შპს ჯამპლასტი და შპს ენგი პლასტი. მშობელი და შვილობილი კომპანიების საქმიანობას წარმოადგენს შესაფუთი მასალების წარმოება და რეალიზაცია.

2. მომზადების საფუძვლები

ანგარიშგების შესაბამისობა

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია "ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისთვის" (შემდგომში მსს ფასს) შესაბამისად.

შეფასების საფუძვლები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

რიცხვები კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულია ლარამდე დამრგვალებით, თუ სხვაგვარად არის არის აღნიშნული.

მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შეფასების ვალუტად ჯგუფი იყენებს იმ ქვეყნის ვალუტას, სადაც ფუნქციონირებს (ფუნქციონალური ვალუტა) - ქართულ ლარს.

საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები, რომლებიც გამოყენებულია აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები, რომლებიც გამოყენებულია აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მოცემულია 23-ე შენიშვნაში.

ფუნქციონირებადი საწარმო

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დამყარებით - რაც გულისხმობს, რომ ჯგუფი განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ჯგუფის ხელმძღვანელობასა და მფლობელს სურვილი აქვთ, განაგრძონ ჯგუფის საქმიანობა საქართველოში. მომზადების საფუძვლის მიზანშეწონილობის დადგენისას, ჯგუფის ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა COVID-19 პანდემიის გავლენა ჯგუფის ფუნქციონირებადობაზე. პანდემიით გამოწვეულ შეზღუდვებს, რეგულაციებს და რეაგირებებს განსხვავებული გავლენა აქვს სხვადასხვა საოპერაციო სეგმენტზე. ჯგუფის ხელმძღვანელობას არ აქვს არსებითი უარყოფითი შედეგების მოლოდინი საწარმოს ფუნქციონირებასთან დაკავშირებით, ჯგუფის საქმიანობის სპეციფიკური ხასიათიდან გამომდინარე. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენება შესაფერისია ჯგუფისთვის.

კონსოლიდაციის საფუძველი

შვილობილი კომპანია

შვილობილი არის კომპანიის მიერ კონტროლირებადი ინვესტირებული საწარმო. ინვესტორი იმ შემთხვევაში აკონტროლებს ინვესტირებულ საწარმოს, როდესაც ის ექვემდებარება რისკებს, რომლებიც დაკავშირებულია ინვესტირებულ საწარმოში მისი მონაწილეობიდან ცვალებადი შემოსავლების მიღებასთან, ან გააჩნია ინვესტირებული საწარმოდან ცვალებადი შემოსავლების მიღების უფლება და, ასევე, ამ შემოსავლებზე ზემოქმედების შესაძლებლობა, ინვესტირებულ საწარმოსთან მიმართებით თავისი უფლებამოსილების მეშვეობით. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შვილობილის ფინანსურ ანგარიშგებებს მათი (შვილობილების) კონტროლის დაწყების თარიღიდან კონტროლის დამთავრების თარიღამდე.

ბუბა ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ლარი)

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

კომპანიის შვილობილები, რომლებიც შესულია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, არის:

დასახელება	ქვეყანა, სადაც კომპანია ძირითადად საქმიანობს	31 დეკემბრისთვის მაკონტროლებელი წილის ოდენობა
შპს ჯგუფი	საქართველო	100%
შპს ჯამპლასტი	საქართველო	100%
შპს ენგი პლასტი	საქართველო	100%

კომპანია სრულად იღებს შვილობილი და შვილობილი კომპანიის შვილობილის შემოსავლებს და აკონტროლებს მათ წმინდა აქტივებსა და საოპერაციო აქტივობებს.

კონსოლიდაციის მიზნებისთვის ელიმინირებული ტრანზაქციები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ელიმინირებულია შიდა ჯგუფური ტრანზაქციები და ამ ტრანზაქციების შედეგად წარმოქმნილი არარეალური მოგება ან ზარალი.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

ჯგუფი ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს ჯგუფის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ჯგუფი ახდენს შეფასებებისა და დაშვებების გადახედვას საწარმოს უწყვეტობის საფუძველზე. სააღრიცხვო შეფასების გადასინჯვის შედეგები აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც შეფასება იქნა გადახედილი, თუ აღნიშნული ეხება მხოლოდ ამ პერიოდს; ან გადასინჯვისა და მომავალ პერიოდებში, თუ გადახედვა ეხება ორივე, მიმდინარე და მომავალ პერიოდებს.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითად საშუალებებსა და საინვესტიციო ქონებაზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს ჯგუფი აქტივიდან სარგებლობის მიღებას. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ვარიაციები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

ფინანსური აქტივების გაუფასურება - გაუფასურების რეზერვის დარიცხვა ხდება, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება (როგორცაა კონტრაგენტის მნიშვნელოვანი ფინანსური სიმძნელები, დეფოლტი, გადახდის პირობების მნიშვნელოვანი დარღვევა), რომ ჯგუფი ვერ მიიღებს თანხას მთლიანი მოცულობით, ხოლო რეზერვის თანხა წარმოადგენს წმინდა საბალანსო ღირებულებასა და გაუფასურებული მოთხოვნის მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის სხვაობას. როდესაც დასტურდება, რომ ჯგუფი ვერ მიიღებს მოთხოვნებში არსებულ თანხებს მთლიანი საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება შესაბამის რეზერვთან.

ბუშა ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

4. წინა წლის შეცდომები და რეკლასიფიკაციები

ა) წინა პერიოდის შეცდომები

2020 წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში გასწორდა 2019 წლის შესადარისი პერიოდის ინფორმაცია, რომელიც გავლენას ახდენდა მხოლოდ 2019 წელზე. შესაბამისად ჯგუფს 2019 წლის საწყისი ნაშთები არ დაუკორექტირებია და არ წარუდგენია. კორექტირებები ძირითადად შეეხებოდა შემდეგს:

- ჯგუფმა გააუქმა 3,532,786 ლარის მიწის გადაფასების რეზერვი და შესაბამისად დააკორექტირა აქტივის ღირებულება, რომელიც 2019 წელს შეცდომით აღიარა.
- ჯგუფმა პირველადი დოკუმენტაციის შესაბამისად დამატებით აღრიცხა გამორჩენილი ოპერაციები, რომლის შედეგად შეამცირა მოთხოვნები, აღიარა ვალდებულება და აქტივის ღირებულება 19,288; 89,810 და 106,098 ლარით, შესაბამისად.
- ჯგუფს სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფინანსებზე ხელმისაწვდომობის კომპონენტის ფარგლებში მიღებული სესხები არასწორად ქონდა აღრიცხული სესხების ღირებულება და სახელმწიფო გრანტი. ჯგუფმა შესაბამისი საკონტრაქტო პირობების გათვალისწინებით დააკორექტირა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მონაცემები.

ბ) წინა პერიოდის რეკლასიფიკაციები

ჯგუფის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით უკეთესი წარდგენის მიზნებისთვის გაკეთდა წინა პერიოდის რეკლასიფიკაციები.

წინა პერიოდის შეცდომების კორექტირება და რეკლასიფიკაციები შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2019 ცვლილებამდე	კორექტირება	რეკლასიფიკაცია	2019 ცვლილების შემდეგ
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება				
ძირითადი საშუალებები	14,144,276	(3,426,688)		10,717,588
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5,504,019	(19,288)	(26,454)	5,458,277
გადაფასების რეზერვი	3,532,786	(3,532,786)		-
დაგროვილი ზარალი	(164,439)	(187,172)	-	(351,611)
მიღებული სესხები	2,289,912	-	47,464	2,337,376
სახელმწიფო გრანტი	-	48,423	-	48,423
საგადასახადო ვალდებულებები	105,641	-	(26,454)	79,187
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,153,464	86,810	(33,507)	1,206,767
მიღებული სესხები	13,014,622	(445,924)	(13,957)	12,554,741
სახელმწიფო გრანტი	1,882,437	584,673	-	2,467,110
ფინანსური შედეგების ანგარიშგება				
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(8,616,416)	-	(874,372)	(9,490,788)
მიწოდების ხარჯები	(94,980)	-	(12,057)	(107,037)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(2,211,836)	-	854,428	(1,357,408)
ფინანსური ხარჯი	-	(4,254)	(846,700)	(850,954)
ზარალი საკუროს სხვაობიდან, წმინდა	-	-	(311,093)	(311,093)
არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი), წმინდა	(621,240)	(182,918)	1,189,794	385,636

ბუშა ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

5. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	მიწა	დაუმთავრებელი მშენებლობა	შენობა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა	სულ
2018 წლის 31 დეკემბერი	1,117,838	14,369	2,906,005	7,485,828	188,103	287,959	33,844	12,033,946
შემოსვლა	1,616,737	358,352	1,930,749	482,156	121,708	60,217	-	4,569,919
გასვლა	-	-	-	(7,395)	(15,674)	-	-	(23,069)
2019 წლის 31 დეკემბერი	2,734,575	372,721	4,836,754	7,960,589	294,137	348,176	33,844	16,580,796
შემოსვლა	195,644	1,000,563	86,954	2,006,871	34,726	20,103	-	3,344,861
დაუმთავრებელი მშენებლობიდან შენობა- ნაგებობაზე გადასვლა	-	(302,067)	302,067	-	-	-	-	-
გასვლა	-	-	-	(74,459)	(14,541)	-	-	(89,000)
2020 წლის 31 დეკემბერი	2,930,219	1,071,217	5,225,775	9,893,001	314,322	368,279	33,844	19,836,657
დაგროვილი ცვეთა								
2018 წლის 31 დეკემბერი	-	-	(456,383)	(3,839,795)	(68,469)	(184,133)	(23,706)	(4,572,486)
ცვეთა	-	-	(419,332)	(807,720)	(42,292)	(25,365)	(2,028)	(1,296,737)
გასვლა	-	-	-	4,242	1,775	-	-	6,017
2019 წლის 31 დეკემბერი	-	-	(875,715)	(4,643,273)	(108,986)	(209,498)	(25,734)	(5,863,206)
ცვეთა	-	-	(555,883)	(909,311)	(39,336)	(31,095)	(1,622)	(1,537,247)
გასვლა	-	-	-	49,386	5,458	-	-	54,844
2020 წლის 31 დეკემბერი	-	-	(1,431,598)	(5,503,198)	(142,864)	(240,593)	(27,356)	(7,345,609)
წმინდა საბალანსო ღირებულება								
2019 წლის 31 დეკემბერი	2,734,575	372,721	3,961,039	3,317,316	185,151	138,678	8,110	10,717,590
2020 წლის 31 დეკემბერი	2,930,219	1,071,217	3,794,177	4,389,803	171,458	127,686	6,488	12,491,048

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძირითადი საშუალებები მოიცავს ჯამურად 2,782,474 ლარის ღირებულების სახელმწიფოსგან სიმბოლურ ფასად გადმოცემულ მიწებსა და შენობა-ნაგებობებს, რომელთა ღირებულება აღიარებულია დამოუკიდებელი შემფასებლის ანგარიშის საფუძველზე.

ბუმა ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ლარში)

6. მარაგები

	31.12.2020	31.12.2019
ნედლეული და მასალები	1,892,862	1,697,032
მზა პროდუქცია	590,798	511,937
სხვა	90,136	195,080
	2,573,796	2,404,049

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31.12.2020	31.12.2019
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	1,371,589	960,442
მომოწოდებელზე გადახდილი ავანსები	4,299,874	4,497,835
	5,671,463	5,458,277

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის მიმდინარე, არავადაგადაცილებული და არაგაუფასურებული.

8. შეზღუდული ფულადი სახსრები

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეზღუდული ფულადი სახსრები შედგება ჯგუფის ლიბერთი ბანკის ანგარიშზე განთავსებულ 1,600,000 ევროსგან, რომელიც გამიზნულია 2021 წლის განმავლობაში დანადგარის შეძენისთვის და 1,400,000 დოლარის ეკვივალენტი სესხის უზრუნველყოფის თანხისგან.

9. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31.12.2020	31.12.2019
ფული სალაროში ეროვნულ ვალუტაში	183,370	5,472
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	159,824	75,975
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	142,594	287,249
	485,788	368,696

ბუღალტრული

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ლარი)

10. მიღებული სესხები

	საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა	დაფარვის თარიღი	მოკლევადიანი 31.12.2020	გრძელვადიანი 31.12.2020
Gazelle Finance Georgia LLC	12%	აშშ დოლარი	7/22/2024	4,751,413	757,259
ლიბერთი ბანკი #101.4032291.001-002	5%	ევრო	7/4/2021	1,311,241	-
ლიბერთი ბანკი #101.4032291 001 004	5%	ევრო	7/4/2021	748,447	-
ლიბერთი ბანკი #101 4032291 001-001	5%	ევრო	10/2/2028	651,372	5,436,601
ლიბერთი ბანკი #101.4032291.001-012	12%	ლარი	9/3/2029	392,451	3,320,572
ლიბერთი ბანკი #101.4032291.001-010	12%	ლარი	2/1/2029	168,359	1,422,956
გიორგი ჯამრიშვილი		ლარი		114,301	-
ლიბერთი ბანკი #101.4032291.001-011	12%	ლარი	9/3/2029	104,564	796,050
ლიბერთი ბანკი #101.4032291 001 003	5%	ევრო	10/2/2028	90,820	758,022
გიორგი ჯამრიშვილი		ევრო		71,721	-
ლიბერთი ბანკი #584.4065600.001	12%	ლარი	3/1/2030	63,938	1,261,862
ლიბერთი ბანკი #101.4032291.001-007	12%	ლარი	10/24/2028	53,379	581,935
ლიბერთი ბანკი #101.4032291.001-008	12%	ლარი	10/24/2028	42,128	480,340
ლიბერთი ბანკი #101.4032291.001-006	5%	ევრო	10/2/2028	38,871	324,434
ლიბერთი ბანკი #101.4032291.001-009	12%	ლარი	10/25/2028	30,092	349,683
ლიბერთი ბანკი #C58752832.0595.002	11%	ლარი	12/17/2030	-	3,795,757
ლიბერთი ბანკი #C58752832.0595.004	11%	ლარი	12/17/2024	-	372,731
ლიბერთი ბანკი 100,000 ევრო		ევრო	12/2/2024	-	402,330
				8,633,097	20,060,532

	საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა	დაფარვის თარიღი	მოკლევადიანი 31.12.2019	გრძელვადიანი 31.12.2019
ლიბერთი ბანკი #101.4032291.001-002	5%	ევრო	7/4/2021	966,676	-
ლიბერთი ბანკი #101.4032291 001 004	5%	ევრო	7/4/2021	575,153	-
ლიბერთი ბანკი #101 4032291 001-001	5%	ევრო	10/2/2028	386,898	4,856,548
ლიბერთი ბანკი #101.4032291.001-010	12%	ლარი	2/1/2029	93,444	1,399,373
ლიბერთი ბანკი #101.4032291.001-012	12%	ლარი	9/3/2029	82,881	2,624,938
ლიბერთი ბანკი #101.4032291 001 003	5%	ევრო	10/2/2028	51,289	677,145
ლიბერთი ბანკი #101.4032291.001-007	12%	ლარი	10/24/2028	41,412	632,062
ლიბერთი ბანკი #101.4032291.001-008	12%	ლარი	10/24/2028	37,389	522,469
გიორგი ჯამრიშვილი GEL		ლარი		35,651	-
ლიბერთი ბანკი #101.4032291.001-009	12%	ლარი	10/25/2028	26,995	379,775
ლიბერთი ბანკი #101.4032291.001-006	5%	ევრო	10/2/2028	21,952	289,818
ლიბერთი ბანკი #101.4032291.001-011	12%	ლარი	9/3/2029	17,636	427,011
Gazelle Finance Georgia LLC	12%	აშშ დოლარი	7/22/2024	-	745,602
				2,337,376	12,554,741

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფი ვერ აკმაყოფილებდა რამდენიმე სახის შეზღუდვას შპს „გაზელ ფაინანს ჯორჯიას“ და სს „ლიბერთი ბანკისგან“ მიღებულ სესხებზე. მოთხოვნილი შეზღუდვების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში მსესხებლებს შეუძლიათ მოითხოვონ დარჩენილი სესხის ნაშთის სრული ანაზღაურება. ჯგუფმა მიიღო პირობების დარღვევით მიღებულ უფლებაზე უარის თქმის წერილები ბანკისგან და შპს „გაზელ ფაინანს ჯორჯიასგან“ 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

სესხი უზრუნველყოფილია ჯგუფის ძირითადი საშუალებებითა და ჯგუფის არსებული და სამომავლო მოძრავი ქონებით.

ბუბმა ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

11. სახელმწიფო გრანტი

სახელმწიფო გრანტი მოიცავს სახელმწიფოსგან გადმოცემულ შემდეგ აქტივებსა და ჯგუფის მიერ სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფინანსებზე ხელმისაწვდომობის კომპონენტის ფარგლებში მიღებულ დაფინანსებებს:

- 2019 წლის 13 აგვისტოს ჯგუფს სახელმწიფოსგან ერთ ლარად გადმოეცა მიწის ნაკვეთი და მასზე არსებული შენობა-ნაგებობა. ჯგუფმა დამოუკიდებელი შემფასებლის მეშვეობით მოახდინა მათი რეალური ღირებულებით შეფასება (1,882,437 ლარი). სახელმწიფოსთან შეთანხმების ფარგლებში კომპანიამ უნდა განახორციელოს 11,294,616 ლარის ოდენობის ინვესტიცია (უზრუნველყოს ალუმინის საცობების მწარმოებელი ქარხნის შექმნა) და წარმოების დაწყება არა უმეტეს ორი წლის ვადაში. აგრეთვე ვალდებულია წარმოების დაწყებიდან არანაკლებ ხუთი წლის განმავლობაში შეინარჩუნოს წარმოების პროფილი და უზრუნველყოს პროდუქციის (ალუმინის საცობების) წარმოება. ჯგუფს ჯერ სრულად არ დაუკმაყოფილებია შესასრულებელი პირობები, შესაბამისად მიღებული აქტივის რეალური ღირებულება ჯერ არ არის საგრანტო შემოსავლად აღიარებული.
- შპს ჯამპლასტმა 2019 წელს სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფინანსებზე ხელმისაწვდომობის კომპონენტის ფარგლებში ლიბერთი ბანკისგან მიიღო ორი სესხი. მიზნობრივი დაფინანსების ფარგლებში სესხი განკუთვნილია ძირითადი საშუალების შესაძენად და სარემონტო სამუშაოების დასაფინანსებლად. კომპანიას სესხი მიღებული აქვს წლიური 11.5%-ანი განაკვეთით, ხოლო ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ „მეწარმეობის განვითარების სააგენტო“ უზრუნველყოფს კრედიტზე დარიცხული არაუმეტეს 36 თვის საპროცენტო განაკვეთის ყოველთვიურ თანადაფინანსებას დარიცხული წლიური საპროცენტო განაკვეთიდან 10%-ის ოდენობით.
- შპს ჯამპლასტმა 2020 წელს სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფინანსებზე ხელმისაწვდომობის კომპონენტის ფარგლებში ლიბერთი ბანკისგან მიიღო სესხი. მიზნობრივი დაფინანსების ფარგლებში სესხი განკუთვნილია ძირითადი საშუალების შესაძენად. კომპანიას სესხი მიღებული აქვს წლიური 12%-ანი განაკვეთით, ხოლო ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ „მეწარმეობის განვითარების სააგენტო“ უზრუნველყოფს კრედიტზე დარიცხული არაუმეტეს 36 თვის საპროცენტო განაკვეთის ყოველთვიურ თანადაფინანსებას დარიცხული წლიური საპროცენტო განაკვეთიდან 10%-ის ოდენობით.
- შპს ენგი პლასტმა 2019 წელს სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფინანსებზე ხელმისაწვდომობის კომპონენტის ფარგლებში ლიბერთი ბანკისგან მიიღო სესხი. მიზნობრივი დაფინანსების ფარგლებში სესხი განკუთვნილია ძირითადი საშუალების შესაძენად. კომპანიას სესხი მიღებული აქვს წლიური 12%-ანი განაკვეთით, ხოლო ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ „მეწარმეობის განვითარების სააგენტო“ უზრუნველყოფს კრედიტზე დარიცხული არაუმეტეს 24 თვის საპროცენტო განაკვეთის ყოველთვიურ თანადაფინანსებას დარიცხული წლიური საპროცენტო განაკვეთიდან 10%-ის ოდენობით.

ჯგუფმა სახელმწიფოსგან გაწეული დახმარება აღიარა როგორც აქტივთან დაკავშირებული სახელმწიფო გრანტი, ხოლო ძირითადი საშუალების შესაძენად განკუთვნილი გრანტი მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აღიარდება აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

12. საგადასახადო ვალდებულებები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად ჯგუფმა გადასახადები უნდა გადაიხადოს ერთიანი სახაზინო კოდით. შედეგად ჯგუფმა წარადგინა საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები ნეტო საფუძველზე, როგორც საგადასახადო ვალდებულება. საგადასახადო ვალდებულებამ 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შესაბამისად შეადგენს 212,390 და 79,187 ლარს.

ბუღალტრული ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ლარი)

13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31.12.2020	31.12.2019
ფინანსური ვალდებულება		
სავაჭრო ვალდებულებები	617,866	953,304
ვალდებულებები წილის გამოსყიდვაზე	40,100	100,100
ვალდებულებები საწარმოს პერსონალის წინაშე	-	8,683
სხვა	-	27,700
	657,966	1,089,787
არაფინანსური ვალდებულებები		
მიღებული ავანსები	345,921	116,980
	345,921	116,980
	1,003,887	1,206,767

ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას დაფარვის მოკლევადიანობის გამო.

14. ამონაგები

	2020	2019
საცობი	6,686,211	5,375,433
ბოთლი	4,214,308	3,949,765
ბოცა	866,149	1,297,049
პრეფორმა	443,236	1,256,794
სხვა	1,088,750	189,372
	13,298,654	12,068,413

15. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

	2020	2019
საცობი	(4,345,673)	(3,891,612)
ბოთლი	(3,087,100)	(3,331,511)
ბოცა	(600,498)	(1,094,023)
პრეფორმა	(396,681)	(1,014,216)
სხვა	(672,677)	(159,426)
	(9,102,629)	(9,490,788)

16. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2020	2019
ცვეთა	(790,211)	(410,308)
შრომის ანაზღაურება	(450,010)	(406,115)
ძირითადი საშუალებების რემონტი	(121,658)	(69,583)
ქონების გადასახადი	(87,996)	(88,890)
საკონსულტაციო ხარჯები	(61,226)	(2,500)
კომუნალური ხარჯები	(27,092)	(10,662)
დაზღვევა	(26,283)	(18,404)
საწვავი	(19,924)	(28,498)
მივლინება	(14,972)	(46,535)
კომუნიკაციის ხარჯები	(14,859)	(11,416)
სატრანსპორტო მომსახურება	(8,817)	(897)
საიჯარო ქირა	-	(59,400)
სხვა ხარჯები	(113,752)	(204,200)
	(1,736,800)	(1,357,408)

17. ფინანსური ხარჯი

	2020	2019
სს ლიბერთი ბანკი	(1,414,688)	(844,011)
შპს გაზელ ფაინანს ჯორჯია	(105,993)	(6,943)
ფ/პ გიორგი ჯამრიშვილი	(7,593)	-
	(1,528,274)	(850,954)

ბუღალტრული

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ლარი)

18. ზარალი საკუროს სხვაობიდან, წმინდა

	2020	2019
ეფექტი ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე	(4,666)	(19,205)
ეფექტი სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებზე	(1,989,416)	(291,888)
	(1,994,082)	(311,093)

19. არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი), წმინდა

	2020	2019
შემოსავალი სუბსიდირებიდან	144,726	104,510
შემოსავალი საიჯარო მომსახურებიდან	115,935	220,571
ძირითადი საშუალებების რეალიზაცია	21,160	20,543
სხვა	209	41,258
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	-	(1,246)
	282,030	385,636

20. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან წარმოადგენს:

- მხარეს, რომელიც პირდაპირ, ან ერთი, ან მეტი შუალედური რგოლის საშუალებით, არაპირდაპირ: აკონტროლებს საწარმოს, კონტროლდება საწარმოს მიერ ან იმყოფება საერთო კონტროლის ქვეშ (ეს მოიცავს მშობელ და შვილობილ საწარმოებს); საწარმოში ისეთი ოდენობის წილის მფლობელია, რომ მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია მასზე; და ერთობლივად აკონტროლებს საწარმოს;
- მხარე არის საწარმოს ან მისი მშობელ საწარმოს უმაღლესი ხელმძღვანელობის წევრი
- მხარე არის ა) ან ბ) პუნქტებით გათვალისწინებული პიროვნებების ოჯახის წევრი
- მხარე არის საწარმოს, რომელსაც აკონტროლებს, ერთობლივად აკონტროლებს ან მასზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ა) და ბ) პუნქტებში განსაზღვრულ რომელიმე პიროვნებას ან, რომელშიც მნიშვნელოვანი ხმის უფლებით პირდაპირ ან არაპირდაპირ სარგებლობენ პიროვნებები.

დაკავშირებულ მხარეებთან ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის არსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას. ჯგუფსა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ოპერაციების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ.

	ურთიერთობა	31.12.2020	31.12.2019
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		5,671,463	5,458,277
შპს პეტ პლასტ ჯორჯია	სხვა	66,935	138,235
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		1,003,887	1,206,767
შპს პეტ პლასტ ჯორჯია	სხვა	7,870	47,155
გიორგი ჯამრიშვილი	დამფუძნებელი	49,149	
მიღებული სესხები		28,693,629	14,892,117
გიორგი ჯამრიშვილი	დამფუძნებელი	186,022	35,651
შპს გაზელ ფინანს ჯორჯია	დამფუძნებელი	5,508,672	-
		31.12.2020	31.12.2019
ამონაგები		13,298,654	12,068,413
შპს პეტ პლასტ ჯორჯია	სხვა	757,501	1,033,127
ამონაგების თვითღირებულება		(9,102,629)	
შპს პეტ პლასტ ჯორჯია	სხვა	(560,536)	
ფინანსური ხარჯი		(1,528,274)	(850,954)
გიორგი ჯამრიშვილი	დამფუძნებელი	(7,593)	-
შპს გაზელ ფინანს ჯორჯია	დამფუძნებელი	(105,993)	(6,943)

უმაღლესი ხელმძღვანელობის ანაზღაურებამ შეადგინა 85,625 და 72,275 ლარი 2020 და 2019 წლების პერიოდში, შესაბამისად.

21. პირობითი ვალდებულებები

დაბეგვრის გაუთვალისწინებელი გარემოებები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა არის სხვადასხვაგვარად ინტერპრეტაციისა და ცვლილების საგანი. ხელმძღვანელობის მხრიდან საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების მიერ ინტერპრეტაციებისაგან და ჯგუფის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ ჯგუფის ოპერაციები 3 წლის მანძილზე.

საგადასახადო ვალდებულებებთან დაკავშირებული ანარიცხები აღიარდება მაშინ, როდესაც თანხის გაზომვა საიმედოდ არის შესაძლებელი. სავარაუდოდ ვალდებულებაზე ანარიცხი არ აღიარდება, სანამ არ მოხდება შესაბამისი შეფასება. ჯგუფის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობიდან გამომდინარე, ადგილი არ ექნება რაიმე სახის დამატებითი ვალდებულების დარიცხვას, გარდა იმისა, რაც ჯგუფს თვითონ აქვს აღრიცხული შესაბამის პერიოდებში.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით, ჯგუფი გადასახდელი მოგების გადასახადის ვალდებულებასა და ხარჯს აღიარებს განაწილებულ დივიდენდზე, იმ პერიოდში, როდესაც დივიდენდები არის გამოცხადებული, მიუხედავად იმისა, თუ რომელ პერიოდს ეკუთვნის დივიდენდი, ან როდის მოხდა დივიდენდების საბოლოო განაწილება.

სასამართლო დავები

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს არ გააჩნია არსებითი სასამართლო დავები. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ არ მოხდება არანაირი მატერიალური დანაკარგის წარმოქმნა, შესაბამისად არანაირი ანარიცხი არ არის შექმნილი სასამართლო დავებთან დაკავშირებით.

საოპერაციო გარემო

განვითარებადი ბაზრები, როგორცაა საქართველო, ექვემდებარება სხვადასხვა რისკებს, სხვა განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით, როგორცაა ეკონომიკური, პოლიტიკური, იურიდიული და საკანონმდებლო რისკები. კანონები და რეგულაციები, რომლებიც გავლენას ახდენს საქართველოში ბიზნესზე, სწრაფად იცვლება, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები კი სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ მიმართულებაზე დიდ გავლენას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, იურიდიულ, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოში განვითარებულ მოვლენებთან ერთად.

სესხის შეზღუდვებთან შესაბამისობა

მიღებულ სესხებთან დაკავშირებით ჯგუფს მოეთხოვება გარკვეული შეზღუდვების დაკმაყოფილება. აღნიშნულ შეზღუდვებთან შეუსაბამობა ჯგუფისთვის შესაძლოა იყოს უარყოფითი შედეგების მომტანი, რაც გამოიწვევს მიღებულ სესხებთან დაკავშირებული ხარჯების გაზრდას და საქმიანობის შესაძლო შეწყვეტას. ჯგუფი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ვერ აკმაყოფილებდა გარკვეულ შეზღუდვებს. დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ მე-10 შენიშვნა.

22. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ, 2021 წლის მანძილზე შპს ჯამპლასტმა სატესტო რეჟიმში დაიწყო პლასტმასის მოსაწყვეტი რგოლის მქონე ალუმინის საცობების წარმოება. აღნიშნული მარაგის რეალიზაციის დაწყება იგეგმება 2021 წლის ივნისი-ივლისის თვიდან.

ბუბა ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ლარი)

23. მნიშვნელოვანი საარიცხო პოლიტიკის მიმოხილვა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი საარიცხო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკები ეხება წარდგენილ ყველა წელს, თუ განსხვავებული არ არის განცხადებული.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ჯგუფის სამუშაო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი („ლარი“). უცხოურ ვალუტაში გახორციელებული ტრანზაქციები თავდაპირველად აღიარდება სამუშაო ვალუტაში ტრანზაქციის განხორციელების თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. საანგარიშგებო თარიღში უცხოურ ვალუტაში დაფიქსირებული მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასება ხორციელდება ამ თარიღისათვის არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. გადაფასებით წარმოქმნილი საკურსო სხვაობები აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი (საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი) იყო შემდეგი:

	<i>საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული გაცვლითი კურსი</i>	
	<i>აშშ დოლარი</i>	<i>ევრო</i>
კურსი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის	3.2766	4.0233
კურსი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	2.8677	3.2095

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს და ფულად სახსრებსა და მის ეკვივალენტებს. ყველა ფინანსური აქტივი თავდაპირველი აღიარებისას ფასდება გარიგების ფასით. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას, დაფარვის მოკლევადიანობის გამო.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ჯგუფი აფასებს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს მისაღები ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით, ანუ გაუფასურების გამოკლებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე. ფული და ფულის ეკვივალენტები აღიარებულია ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით.

გაუფასურება

ჯგუფი ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურებისა, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, ჯგუფი დაუყოვნებლივ აღიარებს გაუფასურების ზარალს სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს და მიღებულ სესხებს. ყველა ფინანსური ვალდებულება თავდაპირველი აღიარებისას ფასდება გარიგების ფასით.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ჯგუფი აფასებს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს გადასახდელი ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით. სავაჭრო და სხვა ვალდებულებების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას, დაფარვის მოკლევადიანობის გამო.

მიღებული სესხები

მიღებული სესხები შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, რომელთა ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება მიღებული სესხების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

ბუბა ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ლარი)

23. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების დანეტება

ჯგუფი ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ანეტებს მაშინ, როდესაც ურთიერთჩათვლა იურიდიულად არ არის შეზღუდული და ჯგუფი გეგმავს ანგარიშსწორებას ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

ფინანსური ვალდებულებებისა და აქტივების აღიარების შეწყვეტა

ჯგუფი წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც: (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; (ბ) იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: (i) აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის ჯგუფიდან გასვლა; ან (ii) ჯგუფი არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე. კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს უფლება, გაყიდოს აქტივი მესამე მხარეზე, გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

ჯგუფი ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულებას სრულდება, უქმდება ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება სრულ შემოსავალში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღიარებულია პირვანდელ ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთის და გაუფასურების ხარჯის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საფუძველზე.

ძირითადი საშუალებების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასს და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად, ასევე დემონტაჟისა და მოხსნის ხარჯების მიმდინარე ღირებულებას, რომლებიც მომავალში გაიწევა.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი გაწევის პერიოდში.

ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ჯგუფი იყენებს ცვეთის კლებადი ნაშთის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის.

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
მიწა	არ ცვდება
დაუმთავრებელი მშენებლობა	არ ცვდება
შენობა-ნაგებობები	20
მანქანა დანადგარები	5
აღჭურვილობა, ავეჯი და სხვა ინვენტარი	5
სატრანსპორტო საშუალებები	5
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	5

მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შეძენასთან და გადამუშავებასთან დაკავშირებულ და აგრეთვე იმ დანახარჯებს რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის. სავაჭრო ფასდათმობები და გადასახადები რომლებსაც ჯგუფი საგადასახადო ორგანოსგან იბრუნებს არ ჩაირთვება შეძენის დანახარჯებში.

მარაგის გადამუშავების დანახარჯები მოიცავს: პირდაპირ შრომით დანახარჯებს, ცვეთის ანარიცხებს, საწარმოო

ბუმბა ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

23. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

შენიშვნებისა და მოწყობილობების ექსპლუატაციის ხარჯებს, და, საერთოდ, ისეთ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდაა დაკავშირებული პროდუქციის ერთეულის წარმოებასთან.

ჯგუფი ყველა სახის მარაგის ჩამოწერისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

ჯგუფი მარაგებს წარადგენს თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. ყოველ საანგარიშო პერიოდში ხდება მარაგების შეფასება გაუფასურებაზე. თუ აღმოჩნდა, რომ მარაგები გაუფასურებულია, საბალანსო ღირებულება მცირდება გაყიდვის ფასს მინუს გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯების ღირებულებამდე და გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

დაბეგვრა

საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად მოგების გადასახადით იბეგრება წმინდა მოგების განაწილება. საანგარიშგებო პერიოდში მოგების გადასახადის მოქმედი განაკვეთი არის 15%, ტექნიკურად, გადასახადის დაანგარიშების მიზნებისთვის დასაბეგრ მოგებას მიესადაგება შემდეგი განაკვეთი - 15%/85%. მოგების გადასახადის გადახდა ხდება ფიზიკურ და არა-რეზიდენტ (როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ) პირებზე გაცემულ დივიდენდზე.

საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, მოგების გადასახადით იბეგრება შემდეგი ოპერაციები/გადახდები:

- დივიდენდის გადახდა
- სახელშეკრულებო და საბაზრო ფასს შორის სხვაობა
- ხარჯები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან
- გადახდები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან
- საქონლის უსასყიდლო მიწოდება
- ლიმიტის ზემოთ წარმომადგენლობითი ხარჯები

ჯგუფი აღიარებს მოგების გადასახადს და ვალდებულებას იმ პერიოდში, როდესაც ხდება დივიდენდის გამოცხადება, მიუხედავად იმისა, რომელი პერიოდის დივიდენდის გაცემას ეხება ან როდის გაიცემა.

საქართველოში არსებული საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო და ფინანსურ ბაზებს შორის სხვაობები არ წარმოშობენ გადავადებულ საგადასახადო აქტივსა და ვალდებულებას.

გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

საწესდებო კაპიტალი

ჯგუფის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება წესდებით. ჯგუფის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით.

დივიდენდები

დივიდენდები აღიარდება როგორც ვალდებულება და შესაბამისი თანხით მცირდება კაპიტალი იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც მოხდა დივიდენდის გამოცხადება. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე გამოქვეყნებული დივიდენდები განიმარტება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მოვლენებში.

სახელმწიფო გრანტი

სახელმწიფო გრანტის აღიარება ხდება შემდეგნაირად:

- გრანტი, რომელიც არ შეიცავს მომავალში გრანტის მიღებისგან გარკვეული პირობების შესრულებას, შემოსავალში აღიარდება მაშინ, როდესაც გრანტის შემოსულებები მიღებადი გახდება;
- გრანტი, რომელიც ითვალისწინებს მომავალში გრანტის მიღებისგან გარკვეული პირობების შესრულებას, შემოსავლად მხოლოდ მას შემდეგ აღიარდება, როდესაც გრანტის ყველა პირობა შესრულებულია; და

ბუმბა ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

23. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

- თუ საწარმო მანამდე იღებს გრანტს, სანამ ამონაგების აღიარების კრიტერიუმები დაკმაყოფილდება, ასეთი გრანტი აღიარდება როგორც ვალდებულება.

გრანტების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები აქტივის რეალური ღირებულებით.

ჯგუფის სახელმწიფო გრანტის ფარგლებში მიღებული შემოსავლები აღიარებული აქვს „სხვა შემოსავლად“.

ამონაგები

შემოსავლის განსაზღვრა ხდება საქონლის ან მომსახურების გაყიდვიდან მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავლები წარმოდგენილია ფასდაკლებების გამოკლებით. ჯგუფი ამონაგებს აღიარებს, როდესაც შემდეგი პირობებია შესრულებული:

(ა) ამონაგების ოდენობის შეფასება შესაძლებელია საიმედოდ;

(ბ) მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში;

(გ) შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ შეფასება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს; და

(დ) შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესასრულებლად საჭირო მომავალი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

თანამშრომელთა ხელფასები და სხვა სარგებელი

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი მომსახურება მიიღო ჯგუფმა დასაქმებულისგან.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებას ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

საპროცენტო ხარჯის აღიარება

საპროცენტო ხარჯი აისახება ყველა ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში დარიცხვის პრინციპის საფუძველზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ჯგუფის ფინანსური ხარჯი მოიცავს მიღებულ სესხებზე დარიცხულ საპროცენტო ხარჯს.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა ჯგუფიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა ჯგუფიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები, მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა ჯგუფში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფს აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა ჯგუფში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ჰქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება კი წარმოადგენს ჯგუფის მიმდინარე დავალიანებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად და რომლის დაფარვა გამოიწვევს ჯგუფიდან ეკონომიკური სარგებლის გადინებას.

ვალდებულების წარმომშობი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც წარმოშობს სამართლებრივ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რაც გულისხმობს, რომ ჯგუფს არ გააჩნია სხვა რეალური ალტერნატივა, და მან უნდა დაფაროს თავისი ვალდებულებები. სამართლებრივი ვალდებულება გამომდინარეობს:

ბუბა ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარი)

23. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

- გარიგებიდან (ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ან ნაგულისხმევი პირობების გათვალისწინებით);
- კანონმდებლობიდან; ან
- სხვა სამართლებრივი ქმედებიდან.

კონსტრუქციული ვალდებულება გამომდინარეობს ჯგუფის ქმედებიდან, სადაც:

- წარსულში დადგენილი პრაქტიკიდან, ჯგუფის მიერ გამოქვეყნებული პოლიტიკიდან ან სპეციფიკური მიმდინარე ანგარიშგებიდან გამომდინარე, ჯგუფი მიაჩნებს სხვა მხარეებს, რომ იგი იღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და
- შედეგად, მესამე მხარეს ჯგუფთან მიმართებაში გააჩნია გარკვეული მოლოდინი, რომ იგი შეასრულებს ამ პასუხისმგებლობებს.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან ჯგუფის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ბუმა ჯგუფი

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე.....	3
1. ზოგადი ინფორმაცია და ჯგუფის საქმიანობის ანალიზი	4
2. ინფორმაცია ჯგუფის სტრუქტურასთან დაკავშირებით.....	4
3. ხარისხის კონტროლი	5
4. გარემოზე ზრუნვა.....	5
5. დასაქმებულთა ჯანმრთელობაზე და უსაფრთხოებაზე ზრუნვა	5
6. ინფორმაცია ჯგუფის ფილიალებთან დაკავშირებით	6
7. კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებები.....	6
8. საკუთარი აქციების გამოსყიდვა	6
9. განვითარების გეგმები	6
10. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები.....	6
11. ძირითადი რისკები.....	8

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ბუმაჯგუფის დამფუძნებლებს და ხელმძღვანელობას

მოსაზრება

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- 2020 წლის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით თანხვედრაშია ამავე წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან და მოიცავს “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ჩვენ გამოვთქვით პირობითი მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2021 წლის 2 ივნისს. სხვა ინფორმაცია, რომელიც შეტანილია თანდართულ მმართველობის ანგარიშგებაში მივიღეთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ და მასზე პასუხისმგებელია ჯგუფის ხელმძღვანელობა. ჩვენი მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოხსენებულ სხვა ინფორმაციას.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან ჯგუფის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება მოამზადონ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან ჯგუფის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციასაც და განვიხილოთ, არის თუ არა ის არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება.

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება ჯგუფის მიერ წარმოდგენილი კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და მოიცავს თუ არა იგი “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ივანე ჟუჟუნაშვილი (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A-720718)

შპს „ბიდიო აუდიტის“ სახელით

თბილისი, საქართველო

24 სექტემბერი 2021

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე**ბუზა ჯგუფის დამფუძნებლებს და ხელმძღვანელობას****მოსაზრება**

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- 2020 წლის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით თანხვედრაშია ამავე წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან და მოიცავს "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ჩვენ გამოვთქვით პირობითი მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2021 წლის 2 ივნისს. სხვა ინფორმაცია, რომელიც შეტანილია თანდართულ მმართველობის ანგარიშგებაში მივიღეთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ და მასზე პასუხისმგებელია ჯგუფის ხელმძღვანელობა. ჩვენი მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოხსენებულ სხვა ინფორმაციას.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან ჯგუფის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება მოამზადონ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან ჯგუფის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციასაც და განვიხილოთ, არის თუ არა ის არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება.

ჩვენი პასუხისმგებლობა, გამოვთქვამთ მოსაზრება ჯგუფის მიერ წარმოდგენილი კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და მოიცავს თუ არა იგი "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ივანე ჟუჟუნაშვილი (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A-720718)

შპს „ბიდიო აუდიტის“ სახელით

თბილისი, საქართველო

24 სექტემბერი 2021

ბუშა ჯგუფი

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია და ჯგუფის საქმიანობის ანალიზი

შპს „ბუშა“ არის 100% ქართული კომპანია, რომელიც დაარსდა 1996 წელს. მისი საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა შესაფუთი მასალების წარმოება, კერძოდ პეტ-პრეფორმებისა და ბოთლების, ბოცების და ქილების წარმოება, პლასტმასის და ალუმინის საცობების წარმოება.

შპს ბუშა არის ე.წ. „დედა-კომპანია“ და აერთიანებს თავის ჯგუფში კიდევ 3 კომპანიას: შპს ჯეოკეპ-ს, შპს ენგი პლასტ-ს და შპს ჯამპლასტ-ს. საწარმო გაერთიანება „ბუშა ჯგუფს“ საქართველოს მასშტაბით გააჩნია 3 ქარხანა, რომელიც ატარებს თანამედროვე მანქანა-დანადგარებით; აღნიშნული ინვესტიციების ჯამურმა ღირებულებამ 25 000 000 ლარს გადააჭარბა.

2019 წელს კომპანიამ დაიწყო ალუმინის საცობის საწარმოს მშენებლობა. რომელიც გაეშვა 2021 წლის გაზაფხულზე და სრული სიმძლავრით ამუშავდება მ.წ. ბოლოს.

კომპანიის მიერ წარმოებულ პროდუქციაზე განსაკუთრებული მოთხოვნაა ქვეყნის შიდა ბაზარზე და მეზობელ ქვეყნებში. „ბუშა ჯგუფი“-ს მიერ წარმოებული პროდუქციის ექსპორტი წარმატებით ხორციელდება სომხეთსა და აზერბაიჯანში.

პროდუქციის საწარმოებლად საჭირო მასალების ნაწილის ჯგუფი შეიძენს საქართველოს შიდა ბაზარზე; პროდუქციის საწარმოებლად აუცილებელი დანარჩენი მასალების შეძენა კი ხორციელდება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან, ესენია: გერმანია, იტალია, თურქეთი, გაერთიანებული არაბეთის ემირატები და სხვა.

ბუშა ჯგუფში დღეისთვის დასაქმებულია 160-მდე ადამიანი, დასაქმებულების 97.5% წარმოადგენს ადგილობრივ კადრებს. ჯგუფის დაარსების დღიდან დასაქმებულების რაოდენობა, წარმოების სიმძლავრეების ზრდასთან ერთად თანმიმდევრულად იზრდებოდა.

წლების მიხედვით ჯგუფში დასაქმებული ადამიანების რაოდენობა მოცემულია ცხრილში #1

ცხრილი # 1

წელი	დასაქმებულების რაოდენობა
2019	147
2020	158

ცხრილში #2 გადმოცემულია ინფორმაცია პროდუქციის რეალიზაციის შესახებ წლების კრილში.

ცხრილი # 2

წელი	რეალიზაცია მილიონი ლარი
2019	12.068
2020	13.299

ყოველწლიურად იზრდება გაყიდვების მოცულობა, რაც განპირობებულია პროდუქციის ხარისხზე სისტემატიური ზრუნვით, მარკეტინგული სამსახურის ეფექტიანი მუშაობით, ფასების სწორად რეგულირებით, სწორი შეთავაზების უზრუნველყოფით.

2. ინფორმაცია ჯგუფის სტრუქტურასთან დაკავშირებით

ჯგუფის მართვის სტრუქტურა შედგება ჰორიზონტალური და ვერტიკალური ხაზით დაკავშირებული ქვედანაყოფებისგან. სტრუქტურული ქვედანაყოფი ექვემდებარება ჯგუფის დირექტორს.

ნებისმიერი სტრუქტურული ქვედანაყოფისთვის ყალიბდება შესაბამისი პროცედურული დოკუმენტაცია, რომლითაც განისაზღვრება ქვედანაყოფის და მასში შემავალი პირების უფლება-მოვალეობები და მათი საქმიანობის ინსტრუქცია.

ხელმძღვანელობის უფლებამოსილება განსაზღვრულია ჯგუფში შემავალი კომპანიების წესდებით.


ბუმბა ჯგუფი

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

2. ინფორმაცია ჯგუფის სტრუქტურასთან დაკავშირებით (გაგრძელება)

ბუმბა ჯგუფის საორგანიზაციო სტრუქტურა გამოიყურება შემდეგი სახით:



3. ხარისხის კონტროლი

წარმოებული პროდუქციის ხარისხის კონტროლის მიზნით, შექმნილია სპეციალური ჯგუფი. ბუმბა ჯგუფს გააჩნია ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია თანამედროვე სტანდარტების მოთხოვნის გათვალისწინებით. პროდუქციის წარმოების პროცესში, ყოველდღიურად - დღეში რამდენჯერმე ხდება წარმოებაში ჩაშვებული ნედლეულის და მიღებული პროდუქციის ხარისხის ლაბორატორიული ანალიზი, რისი მეშვეობითაც მინიმუმამდეა დაყვანილი პროდუქციის ხარისხის მცირე გადახრის რისკი. ჯგუფში წარმატებით არის დანერგილი ხარისხის მენეჯმენტის სისტემა ISO 9001:2015 სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად, მინიჭებული აქვს სერტიფიკატი. აგრეთვე დანერგილია კვების უვნებლობის სტანდარტი FSSC 22000. ხარისხის კონტროლის მაღალი სტანდარტის გათვალისწინებით, ჯგუფს საქართველოს ბაზარზე დამკვიდრებული აქვს სტაბილური და ხარისხიანი პროდუქციის მწარმოებლის რეპუტაცია.

4. გარემოზე ზრუნვა

ბუმბა ჯგუფში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა გარემოს დაცვის საკითხების მოწესრიგებას. კომპანიების საქმიანობის სპეციფიკის მიხედვით, ისინი კანონმდებლობით დადგენილი წესით ახორციელებს გარემოზე ზემოქმედების მონიტორინგს.

5. დასაქმებულთა ჯანმრთელობაზე და უსაფრთხოებაზე ზრუნვა

კანონმდებლობა ადგენს უსაფრთხოების მინიმალურ სტანდარტებს, ჩვენ ვცდილობთ თანამშრომლებს შევუქმნათ უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემო.

2021 წლის აგვისტოში ჯგუფმა უკრაინიდან მოწვეული ექსპერტების დახმარებით ჩაატარა სოციალური აუდიტი, რომელიც ამოწმებს თანამშრომელთა უფლება-მოვალეობები როგორ არის დაცული ჯგუფში, რამდენად უსაფრთხოა მათი სამუშაო გარემო.

შენიშნულია განთავსებულია ხანძარსა და სხვა საფრთხეებისგან ინფრასტრუქტურა, თანამშრომლებს უტარდებათ ტრენინგები, თუ როგორ მოიქცნენ უბედური შემთხვევების თავიდან ასაცილებლად და როგორ მოახდინონ სწრაფი რეაგირება სტიქიურ უბედურებებსა და გაუთვალისწინებელ შემთხვევებზე.

„ბუმბა ჯგუფი“-ს საკუთრებაში არსებული ქარხნებში დასაქმებული პირების შესასრულებელი სამუშაო, წარმოების სპეციფიკიდან გამომდინარე, მომეტებული საფრთხის შემცველ სამუშაოს არ წარმოადგენს. ჯგუფში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა შრომის უსაფრთხო პირობების დაცვას. ქარხნებში ყველა პოზიციაზე დასაქმებული პირებისთვის შემუშავებულია შესაბამისი შრომის ინსტრუქციები. საწარმოში სამუშაოს დაწყებამდე ყველა პირი გადის სპეციალურ სწავლებას და მხოლოდ ამის შემდეგ დაიშვება სამუშაო ადგილზე. გარდა ამისა, დადგენილი პერიოდულობით ხდება თანამშრომელთა გადამზადება შრომის უსაფრთხოების საკითხებში.

5. დასაქმებულთა ჯანმრთელობაზე და უსაფრთხოებაზე ზრუნვა (გაგრძელება)

დასაქმებულები გადაიან სპეციალურ ინსტრუქტაჟს შრომის უსაფრთხოებაში. კრიზისულ სიტუაციების მართვაზე შესაბამისი უფლებამოსილებები გადანაწილებული აქვთ სამსახურების და/ან შესაბამისი ჯგუფის ხელმძღვანელებს. ამასთან ჯგუფში შრომის უსაფრთხოების პირობების დაცვის მონიტორინგის და კონტროლის მიზნით გამოყოფილია სპეციალისტი.

ჯგუფის საქმიანობის ეფექტურად წარმართვაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ადამიანური რესურსი. ჯგუფი მუდმივად ზრუნავს თავისი თანამშრომლების განვითარებაზე, აქტიურად აფინანსებს თანამშრომელთა ტრენინგების ხარჯებს. მათთვის შექმნილია ეფექტური სამუშაო გარემო, შრომის კოდექსით დადგენილი ყველა პირობა მკაცრად არის დაცული და არ ირღვევა არცერთი კანონის მუხლი. თანამშრომლებს შეუძლიათ ისარგებლონ როგორც კანონით დადგენილი შვებულების დღეებით, ასევე ანაზღაურებადი ბიულეტენით, საჭიროების შემთხვევაში.

ჯგუფში დაცულია გენდერული თანასწორობა, მენეჯერულ პოზიციებსა და შესაფუთი ხაზის ნაწილში დასაქმებული არიან როგორც მამაკაცები, ასევე მანდილოსნები, ხოლო წარმოებაში დასაქმებულები არიან მხოლოდ მამაკაცები.

6. ინფორმაცია ჯგუფის ფილიალებთან დაკავშირებით

ჯგუფს, საქმიანობის სფეროდან და სპეციფიკიდან გამომდინარე, არ გააჩნია ფილიალები. შესაბამისად, ფილიალების საქმიანობის შესახებ კვლევა არ ჩატარებულა.

7. კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებები

ჯგუფში ადგილი არ ჰქონია კვლევით სამუშაოებს.

8. საკუთარი აქციების გამოსყიდვა

ჯგუფი არ არის სააქციო საზოგადოება. მას არ აქვს გამოშვებული საკუთარი აქციები. შესაბამისად, აღნიშნული საკითხი არ არის რელევანტური ჯგუფისთვის.

9. განვითარების გეგმები

ჯგუფი დაარსების დღიდან ვითარდებოდა და ეტაპობრივად ხდებოდა წარმოების სიმძლავრეების ზრდა, წარმოებისთვის საჭირო ახალი მანქანა-დანადგარების დამატების და ახალი ქარხნების მშენებლობის და/ან შეძენის საშუალებით.

ჯგუფის სამომავლო განვითარების გეგმა და მისი განხორციელებისთვის საჭირო დამატებითი კაპიტალის მოზიდვის მეთოდები წარმოების ზრდის კუთხით უცვლელია. ისევე როგორც ისტორიულად, მომავალშიც გათვალისწინებულია საწარმოო სიმძლავრეების ეტაპობრივი ზრდა.

2019 წლის საანგარიშგებო პერიოდში სპეციალურად პროექტ "აწარმოე საქართველოში" მონაწილეობის მისაღებად შეიქმნა შპს "ჯამპლასტი". კომპანიის ძირითად საქმიანობას განსაზღვრული იყო პლასტმასის მოსაწყვეტი რგოლის მქონე ალუმინის საცობის წარმოება-რეალიზაცია. ალუმინის საცობის წარმოება დაიგეგმა წამყვანი იტალიური კომპანია "Sacmi"-ს დანადგარების მეშვეობით, რომელიც არის მსოფლიო ლიდერი საწნეხი დანადგარების წარმოებაში, მათ შორის ალუმინის, პლასტმასის და თუნუქის საცობების საწარმოო კომპლექსების წარმოებაში. აღნიშნული ტიპის საცობი არის გამოყენებული პრემიუმ სეგმენტის მქონე მინერალური და მტკნარი წყლებისა და გამაგრილებელი სასმელების მოსახფად. საწარმოს განლაგება დაიგეგმა ქ. თბილისში, დასახლება ორხევი, მექანიკური ქარხნის მიმდებარედ. ალუმინის საცობის საწარმოს შექმნა ხელს შეუწყობს ქვეყანაში ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და ამ სექტორში ბიზნეს გარემოს გაუმჯობესებას, შეაჩერებს ამ მიმართულებით ქვეყნიდან უცხოური ვალუტის გადინებას. შპს "ჯამპლასტი"-ს სახით მინერალური წყლებისა და გამაგრილებელი სასმელების ჩამომსხმელი კომპანიებს გაუჩნდება სანდო და მოქნილი პარტნიორი რომელიც ხელს შეუწყობს მათი ბიზნესის განვითარებას.

ანგარიშგების გამოცემის თარიღამდე, 2021 გაზაფხულზე შპს ჯამპლასტმა დაიწყო ფუნქციონირება და პერიოდის ბოლოსთვის ოპერირებას ახორციელებს სრული საწარმოო დატვირთვით.

10. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

კოეფიციენტების ანალიზი

შემოსავლიანობის კოეფიციენტები

შემოსავლიანობის კოეფიციენტები არის ჯგუფის ფინანსური აქტივობის შემფასებელი, თუ რამდენად ეფექტური იყო მისი საოპერაციო საქმიანობა, რაც უფრო მაღალია ეს კოეფიციენტები მით უკეთესია კომპანიისთვის.

ბუბა ჯგუფი

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

10. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები (გაგრძელება)

საერთო მოგების მარჯა - (საერთო მოგება / შემოსავალი)

საერთო მოგების კოეფიციენტი არის ჯგუფის ფინანსური საქმიანობის ერთ-ერთი შემფასებელი, რომელიც გვიჩვენებს, თუ რამდენია ჯგუფის მარჯა. მაღალი ინდექსი მაჩვენებელია ჯგუფის კარგი საფასო პოლიტიკის. თუმცა ის ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე სრულ ინფორმაციას ვერ გვაწვდის.

	2020	2019
შემოსავალი	13,298,654	12,068,413
თვითღირებულება	(9,102,629)	(9,490,788)
საერთო მოგება	4,196,025	2,577,625
GPM	32%	21%

ჯგუფის შემოსავალი 2019 წლის შემდეგ თითქმის 10%-ით გაიზარდა, რაც გამოწვეულია წარმოების მოცულობის ზრდით.

ლიკვიდურობის კოეფიციენტები

ლიკვიდურობის კოეფიციენტები აფასებენ ჯგუფის შესაძლებლობას თუ როგორ შეუძლია გაუმკლავდეს მოკლევადიან ვალდებულებებს. ანუ რამდენად სწრაფად შეუძლია თავისი მიმდინარე აქტივები გადააქციოს ფულად თავისი მიმდინარე ვალდებულებების დასაფარად. რაც უფრო მაღალია ეს კოეფიციენტი მით უფრო უკეთესია ჯგუფისთვის, რადგან ეს მეტყველებს იმაზე რომ ჯგუფს შეუძლია დროულად დაფაროს კრედიტორების მიმართ დავალიანებები.

	2020	2019
მიმდინარე აქტივები	19,755,567	8,231,022
მიმდინარე ვალდებულებები	9,897,797	3,671,753
მიმდ. კოეფიციენტი	2.0	2.2
	2020	2019
მიმდინარე აქტივები	19,755,567	8,231,022
მიმდინარე ვალდებულებები	9,897,797	3,671,753
მარაგები	2,573,796	2,404,049
სწრაფი კოეფიციენტი	1.7	1.6

Current Ratio - მიმდინარე კოეფიციენტი - (მიმდინარე აქტივები/მიმდინარე ვალდებულებები)

როგორც ცხრილიდან ჩანს მიმდინარე კოეფიციენტი მცირედით გაუარესებულია 2019 წლის შემდეგ. რისი მიზეზიც მეტწილად განპირობებულია გადასახდელი სასესხო ვალდებულების ზრდით.

Quick Ratio-სწრაფი კოეფიციენტი - (მიმდ.აქტივები-საქონელი)/მიმდ.ვალდებულებები

სწრაფი კოეფიციენტი მცირედით გაუმჯობესებულია 2019 წლის შემდეგ. მიუხედავად იმისა, რომ მარაგების ნაშთი წინა წელთან შედარებით 4%-ით არის გაზრდილი, მიმდინარე აქტივებში მარაგების პროცენტული წილი მკვეთრად შემცირებულია 29%-დან 13%-მდე. აღნიშნული გამოწვეულია სხვა მიმდინარე აქტივების ზრდით.

ეფექტურობის კოეფიციენტები

მარაგების ბრუნვაძალა დღეებში (მარაგები/თვითღირებულება*365)

ეს არის ეფექტურობის კოეფიციენტი, რომელიც ზომავს საშუალოდ რამდენი დღე ჩერდება მარაგები ჯგუფში გაყიდვამდე. 2019 წლის შემდეგ DIO გაუარესებულია თითქმის 12%-ით. 2019 წლის მონაცემებით მარაგები ჯგუფის საწყობში საშუალოდ 91 დღე ჩერდებოდა, ხოლო 2020 წლის იგივე მონაცემი შეადგენს 103-ს.

	2020	2019
თვითღირებულება	9,102,629	9,490,788
მარაგები	2,573,796	2,404,049
DIO	103	92

ჯგუფის პროდუქციაზე მოთხოვნის ზრდისა და Covid19 პანდემიის გამო მიწოდების ჯაჭვში არსებული მცირე შეფერხებების გამო, ჯგუფმა 2021 წლისთვის თადარიგი დაიჭირა და გაზარდა მარაგების რაოდენობა, რათა გაზრდილი მოთხოვნის დაკმაყოფილება შეძლებოდა. აღნიშნული მაჩვენებლის გაუარესება გამოწვეულია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს შეძენილი მარაგების რაოდენობით.

ბუბა ჯგუფი

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

10. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები (გაგრძელება)

რისკიანობის კოეფიციენტები

რისკიანობის კოეფიციენტები აფასებენ ჯგუფის ფინანსურ რისკიანობას, თუ რა რაოდენობის სესხს იყენებს ჯგუფი თავისი საქმიანობის დასაფინანსებლად, რა გავლენას ახდენს ის ჯგუფის კაპიტალურ სტრუქტურაზე და მფლობელთა შემოსავალზე.

ჯგუფს აქვს როგორც მოკლევადიანი ასევე გრძელვადიანი სესხები. ყველა სესხი დეტალურად აღწერილია ფინანსური ანგარიშგების მე-11 შენიშვნაში.

Debt Ratio - ვალდებულებების კოეფიციენტი (მთლიანი ვალდებულებები/მთლიანი აქტივები)

	2020	2019
მთლ. ვალდებულებები	34,004,961	18,693,604
მთლ. აქტივები	32,246,615	18,948,610
Debt Ratio	105%	99%

ისევე როგორც აქტივები, ჯგუფის ვალდებულებებიც წინა წელთან შედარებით გაიზარდა. რაც განპირობებულია სასესხო ვალდებულებების ზრდით. ჯგუფმა 2021 წლის პერიოდში დაამატა ახალი საწარმოო ხაზი პროდუქციაზე მოთხოვნის გამო, შესაბამისად მოუწია სესხის სახით დამატებითი რესურსის მოძიება. შესაბამისად, აღნიშნული მაჩვენებელი წინა წელთან შედარებით გაუარესებულია 7%-ით.

Debt to Asset Ratio - სესხის აქტივებთან შეფარდების კოეფიციენტი (სესხები/მთლიანი აქტივები)

სესხების წილი მთლიან აქტივებში 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასევე გაზრდილია 0.77-დან 0.89-მდე ზემოაღნიშნული გარემოებების გამო.

	2020	2019
მიმდინარე სესხები	8,633,097	2,337,376
გრძელვადიანი სესხები	20,060,532	12,554,741
მთლ აქტივები	32,246,615	18,948,610
Debt to Asset	0.89	0.77

11. ძირითადი რისკები

ჯგუფი საქმიანობს საქართველოში და მისი აქტივები მდებარეობს საქართველოში. ჯგუფის საქმიანობის მომგებიანობასა და მის ფინანსურ მდგომარეობაზე გავლენას ახდენს შემდეგი რისკ ფაქტორები:

- **ადგილობრივ სავალუტო ბაზარზე არასტაბილურობა** - საწარმოო ნედლეულის ძირითად ნაწილს ჯგუფი შეისყიდის უცხოეთიდან ან იმპორტიორებისგან, შესაბამისად მათი ფასების დადგენა ხდება უცხოურ ვალუტაში, რაც ნიშნავს ეროვნული ვალუტის გაუფასურების პირობებში ნედლეულზე ფასების ზრდას. ჯგუფი წარმოებული პროდუქციის უმეტესობას ყიდის ადგილობრივ ბაზარზე, შესაბამისად არსებობს ნედლეულზე ფასების ზრდის რისკი. აღნიშნული რისკის მინიმიზაციისთვის ჯგუფი პერიოდულად გადახედავს საფასო პოლიტიკას.

- **COVID 19-ის გავლენა ჯგუფის ფუნქციონირებაზე** - 2020 წლის 11 მარტს ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციამ COVID-19 თან დაკავშირებით გამოაცხადა პანდემია. 21 მარტს საქართველოს პრეზიდენტმა პრემიერ მინისტრის წარდგინებით საქართველოს მთელს ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა. აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესდა სხვადასხვა შეზღუდვა საჯარო და ბიზნეს სექტორებისთვის როგორცაა საზოგადოებაში თავშეყრისა და ეკონომიკური საქმიანობის უფლების შეზღუდვები. ხელმძღვანელობამ მიმოიხილა აღნიშნული ეკონომიკური ფაქტორების გავლენა ჯგუფის საქმიანობასთან მიმართებაში.

ჯგუფს პანდემიის გავრცელების პერიოდში არ შეუწყვეტია ფუნქციონირება. ჯგუფს არ შექმნია არც მატერიალური, არც ადამიანური რესურსის დეფიციტი და წარმოების და რეალიზაციის პროცესი შეუფერხებლად მიმდინარეობდა მაშინაც კი, როდესაც ეპიდემიის გავრცელების საფრთხემ პიკს მიაღწია და სახელმწიფოს მიერ მნიშვნელოვანი შეზღუდვები დაწესდა ეკონომიკურ საქმიანობასთან მიმართებაში.

ჯგუფის ხელმძღვანელობის აზრით, რადგან ჯგუფის ძირითადი მომხმარებლები არიან ფინანსურად სტაბილური საწარმოები, რომელთა პროდუქციაზე მოთხოვნა პანდემიის პერიოდში პირიქით გაზრდილია, რისკი, რომ COVID 19-ის ეფექტი ჯგუფის მიმდინარე ოპერაციებზე და მომავალ საოპერაციო საქმიანობაზე ნეგატიურად აისახება, შეიძლება შეფასდეს როგორც ძალიან დაბალი.

გარდა ამისა, COVID 19 პანდემიის გამო გამოცხადებული სრული და ნაწილობრივი ლოქდაუნისას ჯგუფში მიწოდების ჯაჭვის წყვეტას ადგილი არ ჰქონია, თუმცა იყო შეფერხებები მიწოდების ვადის კუთხით. ჯგუფმა

ბუბა ჯგუფი

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

11. ძირითადი რისკები (გაგრძელება)

სრულად აღმოფხვრა არსებული ხარვეზი და მყიდველების წინაშე აღებულ ვალდებულებებს ასრულებს პირნათლად.

ფინანსური რისკები

ჯგუფის ოპერაციებისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია:

- საბაზრო რისკი
- საპროცენტო რისკი
- უცხოური ვალუტის რისკი
- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი

სხვა საქმიანობებთან ერთად ჯგუფი დგას ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან წარმოქმნილი რისკების წინაშე. ამ რისკებთან დაკავშირებული დამატებითი რაოდენობრივი ინფორმაცია წარმოდგენილია 2020 წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

ჯგუფის წინაშე არსებული რისკების პრევენციის მიზნით, ჯგუფში მიმდინარეობს აღნიშნული რისკების მუდმივი მონიტორინგი, რათა მყისიერად მოხდეს რისკების თავიდან არიდების შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

ისტორიული მონაცემების საფუძველზე, ჯგუფის პოლიტიკა ეფუძნება ფინანსური რისკების თავიდან აცილების თვალსაზრისით.

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2021 წლის 24 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი

გიორგი ჯამრიშვილი

ბუმბა ჯგუფი

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

11. ძირითადი რისკები (გაგრძელება)

სრულად აღმოფხვრა არსებული ხარვეზი და მყიდველების წინაშე აღებულ ვალდებულებებს ასრულებს პირნათლად.

ფინანსური რისკები

ჯგუფის ოპერაციებისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია:

- საბაზრო რისკი
- საპროცენტო რისკი
- უცხოური ვალუტის რისკი
- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი

სხვა საქმიანობებთან ერთად ჯგუფი დგას ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან წარმოქმნილი რისკების წინაშე. ამ რისკებთან დაკავშირებული დამატებითი რაოდენობრივი ინფორმაცია წარმოდგენილია 2020 წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

ჯგუფის წინაშე არსებული რისკების პრევენციის მიზნით, ჯგუფში მიმდინარეობს აღნიშნული რისკების მუდმივი მონიტორინგი, რათა მყისიერად მოხდეს რისკების თავიდან არიდების შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

ისტორიული მონაცემების საფუძველზე, ჯგუფის პოლიტიკა ეფუძნება ფინანსური რისკების თავიდან აცილების თვალსაზრისით.

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2021 წლის 24 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი



გიორგი ჯამრიშვილი